08/06/2026

MES 3 26 0000684192

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა – Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 25 მაისს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=83070355504
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);
ხათუნა ჩხარტიშვილი – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
ნათია ბუთხუზი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);
გიორგი ვეკუა – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);
ხათუნა ცერცვაძე – სსიპ – დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე (საბჭოს წევრი);
გოჩა გოგიტიძე – სსიპ – სასწავლოს უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);
გოგიტა მშვენიერაძე – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ „კონტრუქტ2“-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი)

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნია გუგუნავა – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნათია მჭედლიძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ხელაძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მარიამ ჩოხელი – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:
ნათია მაწკეპლაძე
იამზე ნოზაძე
ტიტე ბოლქვაძე
დავით კუპატაძე
თინათინ ბურძენიძე
ხათუნა მაისაია
ნანა ვერულაშვილი

დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადი“
დირექტორის მოადგილე - კახაბერ კახიაშვილი

სსიპ კოლეჯი „იბერია“
კოლეჯის დირექტორი - თამთა კვინიკაძე
დირექტორის მოადგილე - ელისო ჯიქიძე
ხარისხის მართვის მენეჯერი - დარეჯან ლოსაბერიძე

შპს კოლეჯი მესამე სამედიცინო
დირექტორი - თათული სურმავა
დირექტორის მოადგილე - ლაშა იმერლიშვილი
თინათინ ჭუმბაძე – ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი

საბჭოს სხდომის დაწყების დრო – 12:05 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. სსიპ კოლეჯ „იბერიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ (ქ. ქუთაისი, ქ. ბაღდათი), „საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვები“ (ქ. ბაღდათი) მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
2. „სსიპ კოლეჯისთვის „იბერია“ „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 1 აგვისტოს №942666 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. ქუთაისი);
3. „სსიპ კოლეჯისთვის „იბერია“ „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ (ქ. ბაღდათი) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 1 აგვისტოს №942662 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. ბაღდათი);
4. შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოსთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე „ფარმაცია (სააფთიაქო)“ და „საექთნო განათლება“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს ჰქონდა შუამდგომლობა.

შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარადგინა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. შუამდგომლობა ეხებოდა ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადში“ ჩანიშნული მონიტორინგის ვადის ცვლილებას. ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს 2026 წლის 18 თებერვლის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, კოლეჯში ჩანიშნული იყო მონიტორინგი (ფორმით - დოკუმენტაციის გამოთხოვა, თარიღით - 2026 წლის 27 აპრილი) 5.1 კომპონენტთან მიმართებით, რაც უკავშირდებოდა შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნის წარმოდგენას. ნანი დალაქიშვილმა განმარტა, რომ 2026 წლის 7 მაისს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა მიიღო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის, ბაია კვიციანის წერილი, რომელიც შუამდგომლობდა კოლეჯს, მონიტორინგის ვადის გადაწევასთან დაკავშირებით. მინისტრის მოადგილის წერილს თან ახლდა კოლეჯის მიერ სამინისტროსა და ცენტრში (2026 წლის 13 მაისის რეგისტრაციის №567887) წარდგენილი ოფიციალური მიმართვა. წერილში დეტალურად იყო აღწერილი დაწესებულების მიერ სახანძრო უსაფრთხოების სტანდარტების დასაკმაყოფილებლად გატარებული სხვადასხვა აქტივობა (სახანძრო სიგნალიზაციისა და მართვის მიმღებ-მაკონტროლებელი პუნქტის დამონტაჟება, ადამიანთა მაუწყებლობისა და ევაკუაციის მართვის სისტემის მოწყობა და სხვა). წერილში, ასევე, მითითებული იყო, რომ კოლეჯმა, 7 აპრილს შუალედური შემოწმების მიზნით მიმართა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს, რომლის 16 აპრილის აქტში ასახულია, რომ დამატებით დროს მოითხოვს გარე ხანძარქრობისთვის განკუთვნილი წყლის რეზერვუარების მოწყობა-რეკონსტრუქცია და

შესაბამისი დადებითი დასკვნის მიღება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს მხარდაჭერით, წარმოდგენილი იქნა შუამდგომლობა მონიტორინგის ვადის 2026 წლის ივლისის ბოლომდე გადავადების თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ დასვა კითხვა მიმდინარე სასწავლო პროცესის შეფერხების რისკებთან დაკავშირებით, კერძოდ, ხომ არ შეუშლიდა ხელს აღნიშნული გარემოება იმ მოდულებისა და პროგრამების განხორციელებას, რომლებიც ხიდისთავის ფართში იგეგმებოდა.

კითხვაზე საპასუხოდ კოლეჯის დირექტორის მოადგილემ, კახაბერ კახიაშვილმა აღნიშნა, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან მიღებული ყველა კონსულტაცია და რეკომენდაცია (მათ შორის, კარების გაღების მიმართულება და წყლის რეზერვუარის/ჰიდრანტის საკითხი) დაწესებულების მხრიდან სრულად არის შესრულებული. კოლეჯმა უკვე გაგზავნა ოფიციალური შეტყობინება განმეორებითი ვიზიტის თაობაზე და იმყოფება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მხრიდან საბოლოო შემოწმებისა და დადებითი დასკვნის გაცემის მოლოდინის რეჟიმში, რისთვისაც კანონმდებლობით განსაზღვრულია 30-დღიანი ვადა. კოლეჯის წარმომადგენლის თქმით, მოცემულ პერიოდში სასწავლო პროცესს არანაირი შეფერხება არ ემუქრება.

საბჭო დაეთანხმა შუამდგომლობას მონიტორინგის ვადის 2026 წლის ივლისის ბოლომდე გადავადების თაობაზე.

პირველი საკითხი: სსიპ კოლეჯ „იბერიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ (ქ. ქუთაისი, ქ. ბაღდათი), „საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვები“ (ქ. ბაღდათი) მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნათია მაწკეპლაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 6 მარტის №274356 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ კოლეჯ „იბერიაში“ და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ და „საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვები“ ფარგლებში, ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) ქვეპუნქტის შესრულების შემოწმება. მონიტორინგი განხორციელდა პროფესიული განათლების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე ორ სხვადასხვა ლოკაციაზე. კერძოდ, 2026 წლის 25 მარტს ექსპერტთა ჯგუფი ეწვია კოლეჯის ბაღდათის ფილიალს, რომელიც მდებარეობს რუსთაველის ქუჩა №112-ში, ხოლო 2026 წლის 26 მარტს ვიზიტი განხორციელდა ქალაქ ქუთაისში, ზურაბ ანჯაფარიძის №61 მისამართზე. ვიზიტის დაწყებამდე ჯგუფი დისტანციურად გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და შეათანხმა დღის წესრიგი. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ორივე სამუშაო დღე წარიმართა მშვიდ, კონსტრუქციულ და თანამშრომლობით გარემოში. პროცესის ფარგლებში დეტალურად გადამოწმდა კოლეჯში არსებული მეთოდოლოგია, ჩატარდა გასაუბრებები დირექტორთან, ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, მასწავლებლებთან და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ასევე დათვალიერდა სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები და პრაქტიკის ობიექტები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - მოდის ტექნოლოგია და დიზაინი
პროგრამა ხორციელდება როგორც ქალაქ ბაღდათში, ისე ქალაქ ქუთაისში. აღნიშნული პროგრამა მიეკუთვნება პროფესიული განათლების მეოთხე დონეს, სწავლის დეტალური სფეროს კოდია 0212 და მისი დასრულებისას კურსდამთავრებულს ენიჭება საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მოდის ტექნოლოგიასა და დიზაინში. სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე, რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული ფორმით. არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს 90 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანთათვის განსაზღვრულია 120 კრედიტი. პროგრამა არ მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს. ბაღდათის მისამართზე ლოკაციაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 30-ით, საიდანაც ამჟამად აქტიური სტატუსის მქონეა 10 სტუდენტი, ხოლო 1 სტუდენტს შეჩერებული აქვს სტატუსი. მეორე სტანდარტთან, კერძოდ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსებთან შესაბამისობის შეფასებისას ექსპერტების შეფასებით, ბაღდათის ფილიალში მატერიალური ბაზა სრულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. კოლეჯს გააჩნია 15 სტუდენტზე გათვლილი A და C ტიპის სასწავლო გარემოები, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი მერხებით, პროექტორებით, კომპიუტერული ტექნიკითა და მულტიფუნქციური პრინტერებით. სპეციალიზებულ ლაბორატორიაში განთავსებულია საწარმოო საკერავი მანქანები, საქარგავი და საგამომჭრელო ნახევრად ავტომატური მოწყობილობები, საუთოო მაგიდა და ორთქლის უთო. ასევე ფუნქციონირებს სამხატვრო ლაბორატორია ტანსაცმლის ესკიზების შესაქმნელად, სადაც სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია სახატავი დაფები და საჭირო ნედლეული. პრაქტიკული კომპონენტის რეალიზაციისთვის გაფორმებულია ხელშეკრულებები შპს მარიონელასთან, ი/მ მარიკა მოდებაძესთან, ი/მ მზია ბანძელაძესთან და სს იმერთან. ამასთანავე, დაწესებულებამ სრულად შეასრულა 2025 წლის ივნისის გაუმჯობესების გეგმა და შეიძინა დამატებითი საფეიქრო და ანტროპომეტრული ხელსაწყოები. ადამიანური რესურსის მხრივ, პროცესში ჩართულია 9 მასწავლებელი, მათგან 4 დარგის სპეციალისტია, ხოლო 5 ზოგად მოდულებს უძღვება, რაც უზრუნველყოფს სწავლების მდგრადობას. პროგრამას ხელმძღვანელობს საამისოდ უფლებამოსილი და დარგობრივი

კომპეტენციის მქონე პირი. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს როგორც ნაბეჭდ, ისე ელექტრონულ რესურსებზე წვდომას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის გარემო ადაპტირებულია, შენობა აღჭურვილია კიბეზე ასასვლელი მოწყობილობებითა და შესაბამისი სველი წერტილებით. ფინანსური თვალსაზრისით, პროგრამის რენტაბელობის ზღვარი 9 სტუდენტია.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორები 2.2.1.1-2.2.1.7 შეფასდა, როგორც შესაბამისი.
რაც შეეხება, ქალაქ ქუთაისის მისამართს, ზურაბ ანჯაფარიძის №61-ში, პროგრამა ხორციელდება 2025 წლის 15 აპრილის №26 ბრძანებისა და მასში განხორციელებული №28 ცვლილების საფუძველზე. ქუთაისის ლოკაციაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 45-ს, სადაც მიმდინარე ეტაპზე ფიქსირდება 25 აქტიური, 1 სტატუსშეჩერებული და 1 სტატუსშეწყვეტილი სტუდენტი. მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის თვალსაზრისით, ქუთაისის ბაზა ბაღდათის ანალოგიურად მოიცავს 15 სტუდენტზე მორგებულ საუდიტორიო სივრცეებსა და სამკერვალო თუ სამხატვრო ლაბორატორიებს, სადაც წარმოდგენილია უნივერსალური საკერავი მანქანები, სპეციალიზებული საუთოო და საქარგავი ტექნიკა და საგამომჭრელო დანები. პარტნიორული ხელშეკრულებები პრაქტიკის ნაწილში აქაც იდენტურ ორგანიზაციებთან არის გაფორმებული, თუმცა სს იმერში ამჟამად განთავსებულია 25 მიმდინარე სტუდენტი. 2025 წლის გაუმჯობესების გეგმით გათვალისწინებული დამატებითი ინვენტარი და პროექტორები ქუთაისის ფილიალშიც სრულად არის მობილიზებული. საგანმანათლებლო პროცესის მდგრადობას აქ 10 პროფესიული განათლების მასწავლებელი უზრუნველყოფს, სადაც 4 დარგობრივ, ხოლო 6 ზოგად მოდულებს ასწავლის. მასწავლებელთა დატვირთვა რეგულირდება სპეციალური მეთოდოლოგიური ტაბელით და მათი კვალიფიკაცია დასტურდება პირად საქმეებში არსებული დიპლომებითა და სერტიფიკატებით. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად ახორციელებს თავის ფუნქციებს, რაც მოიცავს შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციასა და პარტნიორებთან კომუნიკაციას. საბიბლიოთეკო მომსახურება, სსსმ პირთა ასისტენტების ჩართულობა, პროგრამის ფინანსური მდგრადობა დასტურდება იმით, რომ მისი რენტაბელობის ზღვრული რაოდენობა განსაზღვრულია 9 სტუდენტით, ხოლო საპროგნოზო ბიუჯეტი აგებულია სწორედ მინიმალურ შესაძლო კონტინგენტზე.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორები 2.2.1.1-2.2.1.7 შეფასდა, როგორც შესაბამისი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვები
ეს პროგრამა პროფესიული განათლების მეოთხე დონეს განეკუთვნება, სწავლის დეტალური სფეროს კოდია 1041 და მისი დასრულების შედეგად გაიცემა საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვებში. განხორციელების ადგილია ქალაქი ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის №61 მისამართზე. პროგრამის დამტკიცების სამართლებრივი აქტია 2025 წლის 29 მაისის №39 ბრძანება, რომელშიც ცვლილება შევიდა 2025 წლის 17 ივნისის №44 ბრძანებით. სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე, რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული ფორმატით. კრედიტების მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის არის 85, ხოლო არაქართულენოვანთათვის განსაზღვრულია 115 კრედიტი. პროგრამაზე მოთხოვნილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობაა 30, ხოლო ვიზიტის მომენტში აქტიური სტატუსი გააჩნდა 15 პროფესიულ სტუდენტს.
მატერიალური რესურსების შემოწმებისას დადგინდა, რომ კოლეჯს პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს №110 აუდიტორია, რომელიც წარმოადგენს 15 სტუდენტზე გათვლილ A/C ტიპის სასწავლო გარემოს და აღჭურვილია ყველა საჭირო სასწავლო ინვენტარით, პროექტორითა და მულტიფუნქციური პრინტერით. გარდა ამისა, ფუნქციონირებს №203 აუდიტორია, რომელიც არის B ტიპის კომპიუტერული გარემო, სადაც განთავსებულია 15 სამუშაო კომპიუტერი სტუდენტებისთვის, მასწავლებლის კომპიუტერი და ბეჭდვის მოწყობილობები. კომპიუტერებში ინტეგრირებულია დარგობრივი სტანდარტით

გათვალისწინებული პროგრამები, რომელთა სრული პაკეტის შეძენაც განხორციელდა 2025 წლის გაუმჯობესების გეგმის ფარგლებში. პრაქტიკული სწავლება მიმდინარეობს რეალურ სამუშაო ობიექტებზე, რისთვისაც ხელშეკრულებები გაფორმებულია ი/მ დავით თვალაძის სასაწყობე მეურნეობასთან, შპს კულინართან და შპს მგა მოტორსთან, რომელიც ამჟამად მასპინძლობს 15-ვე აქტიურ სტუდენტს. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 9 მასწავლებელი, სადაც 4 დარგის წარმომადგენელია და 5 ზოგადი მიმართულების. მათი საათობრივი დატვირთვის სქემები კანონმდებლობის შესაბამისად იგეგმება და თითოეულ მოდულს ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი, რაც სწავლის უწყვეტობას განაპირობებს. დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს სასწავლო პროცესს, ბიბლიოთეკას კი სტუდენტების უახლესი საკანონმდებლო ბაზით უზრუნველყოფის მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საკანონმდებლო მაცნესთან. შენობის ინფრასტრუქტურა სრულად პასუხობს ინკლუზიური განათლების პრინციპებს, ხოლო ფინანსური მდგრადობის გაანგარიშება და საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც ორიენტირებულია მინიმალურ 9-სტუდენტიან კონტინგენტზე, ადასტურებს, რომ ვაუჩერული შემოსავლები სრულად ფარავს ხარჯებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორები 2.2.1.1-2.2.1.7 შეფასდა, როგორც შესაბამისი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა ავტორიზაციის ექსპერტს, ნათია მაწკეპლაძეს კითხვით, ადამიანური რესურსის მართვასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამა ორ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში (ქუთაისსა და ბაღდათში) ხორციელდება, არსებობს რისკი პროფესიული მასწავლებლების ორ ლოკაციას შორის გადანაწილებასა და გადატვირთვასთან მიმართებით. თავმჯდომარემ ითხოვა დაზუსტება, პროგრამაში ჩართული 10 მასწავლებელი (4 დარგობრივი და 6 ზოგადი) პარალელურად ემსახურება თუ არა ორივე მუნიციპალიტეტის სტუდენტებს და ხომ არ გამოიწვევს აღნიშნული მოცემულობა სასწავლო პროცესის შეფერხებას ან ხარისხის კლებას. ავტორიზაციის ექსპერტმა, ნათია მაწკეპლაძემ განმარტა, რომ ქუთაისისა და ბაღდათის განყოფილებებში წარმოდგენილნი არიან სრულიად განსხვავებული და დამოუკიდებელი პროფესიული მასწავლებლები. საქმისწარმოების ფორმების მიხედვით, თითოეულ სასწავლო მოდულზე განსაზღვრულია ორი განმახორციელებელი, რაც დადასტურდა ადგილზე გამართული შეხვედრების დროსაც. შესაბამისად, ერთი და იგივე პერსონალი ორ სხვადასხვა ლოკაციაზე პარალელურად არ მუშაობს.
საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა კითხვით მიმართა დარგის ექსპერტს, ტიტე ბოლქვაძეს. მან აღნიშნა, რომ პროგრამის დამატების საწყის ეტაპზე დაწესებულებას დაფიქსირებული ჰქონდა შეუსაბამობა სარეკომენდაციო მატერიალური რესურსის ჩამონათვალთან, რაც სასწავლო პროცესის დაწყებისთვის უნდა ყოფილიყო მოწესრიგებული. მან იკითხა, ხომ არ მოახდინა გავლენა მატერიალური ბაზის თავდაპირველმა არასწორმა დაანგარიშებამ სტუდენტთა მიმდინარე სასწავლო პროცესსა და მათ შეფასებაზე, მიმდინარე წლის მაისის თვის მდგომარეობით. დარგის ექსპერტმა, ტიტე ბოლქვაძემ განმარტა, რომ პროგრამის დამატების დროინდელი ნაკლოვანებების ზუსტი ნუსხა მას არ მიწოდებია, ვინაიდან წინა საექსპერტო დასკვნასა და საბჭოს გადაწყვეტილებაში აღნიშნული დეტალები არ იყო დაკონკრეტებული. თუმცა, მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფს ადგილზე სრული მატერიალური ბაზა დახვდა. დანართით განსაზღვრული აღჭურვილობა ასევე განთავსებული იყო კოლეჯის სადემონსტრაციო სასწავლო გარემოშიც. ექსპერტმა აღნიშნა, რომ შესყიდვებისა და მიღება-ჩაბარების აქტების მიხედვით, აღჭურვილობა სწავლის დაწყებიდან მალევე იქნა შეძენილი. გარდა ამისა, ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა მხოლოდ ზოგადი და თეორიული მოდულები, რის გამოც სასწავლო პროცესს ხელი არ შეშლია.

საბჭოს წევრმა, გოჩა გოგიტიძემ დასვა შეკითხვა კოოპერაციული პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის განხორციელების მეთოდოლოგიაზე. იგი დაინტერესდა, თუ რა პრაქტიკა აქვს კოლეჯს – საწარმოო პრაქტიკა მიმდინარეობს უშუალოდ კოლეჯის პედაგოგების მეთვალყურეობით, თუ პროცესს ადგილზე უძღვებიან პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლები. ტიტე ბოლქვაძემ აღნიშნა, რომ პრაქტიკის ობიექტებს გამოყოფილი ჰყავთ შესაბამისი მენტორები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროცესის ხელმძღვანელობას. მან აღნიშნა, რომ ექსპერტები პირადად ესტუმრნენ ორ პრაქტიკის ობიექტს, რომელთაგან ერთ-ერთი ინდივიდუალური მეწარმეა, თუმცა ფლობს მასშტაბურ, გამართულ სასაწყობო მეურნეობასა და ავტოპარკს, რაც სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. კოლეჯ „იბერიის“ დირექტორმა, თამთა კვინიკაძემ აღნიშნა, რომ იგი რამდენიმე თვეა ხელმძღვანელობს დაწესებულებას და ეს იყო ექსპერტთა პირველი მონიტორინგის ვიზიტი მისი დირექტორობის პერიოდში. მან განმარტა, რომ აქამდე არსებული პრაქტიკით, მასწავლებლები თავად მიჰყვებოდნენ სტუდენტებს სხვადასხვა ობიექტზე მოდულების განსახორციელებლად. ამჟამად მიმდინარეობს აღნიშნული მოდელის დახვეწა, რაც გულისხმობს პრაქტიკის ობიექტების ინსტრუქტორების აქტიურ ინტეგრირებას სასწავლო პროცესში კოლეჯის პედაგოგებთან ერთად. ვინაიდან მასწავლებლებმა უკეთ იციან სწავლის შედეგების დადასტურების პრინციპები, სწავლება დაიგეგმება ერთობლივად, როგორც მოდის ტექნოლოგიისა და დიზაინის, ისე სატრანსპორტო მიმართულებით, რათა ობიექტებიდან გამოყოფილმა პირებმა აიღონ პასუხისმგებლობა სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკაზე და საწარმოო პრაქტიკის დაწყებასთან ერთად, აღნიშნული მიდგომა დეტალურად გავრცელდება სხვა მოდულებსა და პროგრამებზეც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ კოლეჯ „იბერიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" (ქ. ქუთაისი, ქ. ბაღდათი), "საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვები" (ქ. ბაღდათი) ფარგლებში მონიტორინგის დასრულების შესახებ..

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ კოლეჯ „იბერიაში“ (ს/კ: 212682051) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" (ქ. ქუთაისი, ქ. ბაღდათი), "საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვები" (ქ. ბაღდათი) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

მეორე საკითხი: „სსიპ კოლეჯისთვის „იბერია“ „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 1 აგვისტოს №942666 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. ქუთაისი);

მესამე საკითხი: „სსიპ კოლეჯისთვის „იბერია“ „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ (ქ. ბაღდათი) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 1 აგვისტოს №942662 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა (ქ. ბაღდათი);

საკითხები საბჭოს სხდომაზე გაერთიანებული სახით წარადგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. მან აღნიშნა, რომ მეორე და მესამე საკითხები ეხება ერთი და იმავე კოლეჯის, ერთი და იმავე პროგრამაში არსებულ ტექნიკურ ჩასწორებებს, როგორც ქუთაისის, ისე ბაღდათის ლოკაციებზე. მომხსენებელმა განმარტა, რომ კოლეჯის ახალი ხელმძღვანელობის მიერ შიდა დოკუმენტაციისა და მიდგომების გადახედვის შედეგად, თავად დაწესებულებამ აღმოაჩინა ტექნიკური უზუსტობები ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 1 აგვისტოს ორ გადაწყვეტილებაში. კერძოდ, უზუსტობა ორივე შემთხვევაში უკავშირდებოდა პროგრამის დასახელებას, სადაც გამოტოვებული იყო ერთი ასო, და სწავლის დეტალური სფეროს კოდს. ნანი დალაქიშვილმა აღნიშნა, რომ ჩასწორებული ცხრილები და პარამეტრები სრულად არის შეთანხმებული ცენტრსა და საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილებების პროექტები და დანართები მიწოდებულია საბჭოს წევრებისთვის. მან საბჭოს სთხოვა კენჭი ეყარათ ცვლილებების შეტანისთვის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 1 აგვისტოს №942666 და №942662 გადაწყვეტილებებში.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ კოლეჯისთვის "იბერია" "მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 1 აგვისტოს №942666 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ (ქ. ქუთაისი) საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „სსიპ კოლეჯისთვის "იბერია" "მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 1 აგვისტოს №942666 გადაწყვეტილებაში, კერძოდ: შევიდეს ცვლილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" პარამეტრებში. გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 1).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2026 წლის 25 მაისი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ კოლეჯისთვის "იბერია" "მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 1 აგვისტოს №942662 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ (ქ. ბაღდათი) საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, სსიპ განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „სსიპ კოლეჯისთვის "იბერია" "მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 1 აგვისტოს №942662 გადაწყვეტილებაში, კერძოდ: შევიდეს ცვლილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "მოდის ტექნოლოგია და დიზაინი" პარამეტრებში. გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 2).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი 2026 წლის 25 მაისი.

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს წინაშე დამატებითი განმარტება გააკეთა ძალაში შესვლის თარიღთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ საგაზაფხულო მიღების ფარგლებში პროგრამებზე სტუდენტთა რეგისტრაცია სრულდება 2026 წლის 29 მაისს. ვინაიდან საჭირო კორექტირება და ასახვა საგანმანათლებლო მართვის საინფორმაციო სისტემამ (EMIS) რეგისტრაციის დასრულებამდე უნდა უზრუნველყოს, სამსახური წინასწარ შეთანხმდა EMIS-თან, რის გამოც აუცილებელი იყო ცვლილებების ძალაში შესვლა უშუალოდ სხდომის ჩატარების თარიღით – 2026 წლის 25 მაისით. საბჭო დაეთანხმა აღნიშნულ გარემოებას.

მეოთხე საკითხი: შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოსთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე „ფარმაცია (სააფთიაქო)“ და „საექთნო განათლება“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დავით კუპატაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2026 წლის 4 მარტს შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს მიერ წარმოდგენილი იქნა განაცხადები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე „ფარმაცია (სააფთიაქო)" და ,,საექთნო განათლება" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ და საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები (ცენტრში რეგისტრაციის №259091 და №258956). ზემოაღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით, დაწესებულება იცვლის ადგილს/ფართს ქალაქ თბილისის ლოკაციაზე და გადადის ახალ მისამართზე (ქ. თბილისი, რაფიელ აგლაძის ქ.N 25ა), რომელიც დაწესებულების მიერ აქამდე არ იყო გამოყენებული ავტორიზაციის მიზნებისთვის. აღნიშნულის საფუძველზე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ, 2026 წლის 24 მარტს გამოცემული №351722 ბრძანების თანახმად შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების, ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ,,ბ.ბ" და ,,ბ.დ" კომპონენტთან, აგრეთვე დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ,,დ.ა" და ,,დ.ბ" კომპონენტთან და ე) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ,,ე.ა" და ,,ე.ბ" კომპონენტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 22 და 23 აპრილს, დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის განრიგის დაცვით. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩატარებული იქნა ინტერვიუები პერსონალთან, დათვალიერებული იქნა ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შემოწმებული იქნა კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტაცია და მათი პრაქტიკაში განხორციელების მტკიცებულებები. ასევე, გადამოწმდა პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. დარგის ექსპერტები ვიზიტის ფარგლებში გაესაუბრნენ პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელებს, განმახორციელებლებს, პროფესიულ სტუდენტებს, ადმინისტრაციისა და პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს. შეაფასეს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები. დაათვალიერეს მათი ფაქტობრივი მდგომარეობა და ფლობის დოკუმენტაცია.
აღინიშნა, რომ ხარვეზი არ გამოვლენილა და განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა.
გაიცა სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაცია, კერძოდ, 5.1.2.1. ინდიკატორის ფარგლებში. დაწესებულებას, სახანძრო ჰიდრანტის მოწყობასთან დაკავშირებით, წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც აღწერილია 5.1.2.1 ინდიკატორის ფარგლებში. შესწავლილი დოკუმენტებით და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის გათვალისწინებით, ინდიკატორი ფასდება როგორც, მეტწილად შესაბამისი. აქედან

გამომდინარე დაწესებულებას ეძლევა შესაბამისობის რეკომენდაცია შეასრულოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობები განსაზღვრულ ვადაში.
მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ კოლეჯის სტრუქტურა და საშტატო ერთეულები განსაზღვრულია დირექტორის ბრძანებებით, ხოლო თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები გაწერილია საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელ დებულებაში. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციები მკაფიოდ არის დიფერენცირებული, დაცულია იერარქიული ბალანსი და თანამდებობრივი დაქვემდებარების სისტემა. ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს კოლეჯის ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, რაც დადასტურდა როგორც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესწავლით, ისე პერსონალთან ინტერვიუირებით. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქციებს, რომლის დამოუკიდებლობაც გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს მართვაში ჩართულ სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებთან. შესაბამისად, აღნიშნული მიმართულება ექსპერტთა მიერ შეფასდა როგორც მოთხოვნებთან სრულად შესაბამისი.
რაც შეეხება პერსონალის მართვის პოლიტიკას. კოლეჯში პერსონალის მართვის პროცესები, მათ შორის უფლება-მოვალეობები, ქცევის სტანდარტები, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები, რეგულირდება შრომის შინაგანაწესითა და პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. კადრების შერჩევა და დასაქმება ხორციელდება ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით, როგორც ღია და დახურული კონკურსების, ისე კონკურსგარეშე მიღების გზით. ვიზიტისას შემოწმებული ვაკანსიები, საკონკურსო ოქმები და შრომითი ხელშეკრულებები ადასტურებს, რომ პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. გარდა ამისა, დაწესებულების ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობით და გუნდურ მუშაობას, რაც დასტურდება სტრატეგიული დაგეგმვის, ინვენტარიზაციისა და შიდა ვერიფიკაციის მიზნით შექმნილი მიზნობრივი სამუშაო ჯგუფების ფუნქციონირებით. კოლეჯში მოქმედებს პერსონალის შეფასების ე.წ. „360 გრადუსიანი“ სისტემა, რომელიც თანამშრომლებს მრავალმხრივი კრიტერიუმების მიხედვით აფასებს. საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერის მიერ წარმოდგენილი კვლევის შედეგებით დადასტურდა, რომ ადმინისტრაციული პერსონალი მაღალი კომპეტენციით ხასიათდება, ხოლო პროფესიული განათლების მასწავლებლები აქტიურად მონაწილეობენ ვალიდური შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასა და ინკლუზიური განათლების პრინციპების დანერგვაში. პერსონალის პროფესიული განვითარება მიმდინარეობს გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის მიხედვით. კოლეჯი უზრუნველყოფს როგორც შიდა ტრენინგების ორგანიზებას, ისე მასწავლებელთა ჩართულობას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში, რაც ასახულია პერსონალის პირად საქმეებში. ახალი თანამშრომლებისთვის მოქმედებს სამუშაო გარემოსთან ადაპტაციისა და ინტეგრაციის მხარდამჭერი მექანიზმები. ამასთანავე, პერსონალის მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისებას, რაც პრაქტიკაში გამოიხატება თანამშრომლებისა და მასწავლებლებისათვის პროფესიული ტრენინგების დაფინანსებით.
კოლეჯი საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს ერთ მისამართზე, სადაც 2026 წლის 12 იანვარს გაფორმებული ქვეიჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, 2029 წლის 1 სექტემბრამდე (ავტორიზაციის მინიმალური ვადით) ფლობს 782.57 კვ.მ ფართობის მქონე შენობა-ნაგებობას და დამატებით 5.83 კვ.მ ნაგებობას. ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ შენობის ორივე სართული კეთილმოწყობილია, აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით, და მოიცავს სამედიცინო სივრცეს, ბიბლიოთეკას, საკონფერენციო დარბაზს, სასწავლო

გარემოებს, ადმინისტრაციულ სამუშაო ოთახებსა და სტუდენტთა შემოქმედებით სივრცეებს. ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია შშმ პირთათვის მეორე სართულზე მოწყობილი სპეციალური სანიტარული კვანძითა და პანდუსით.
შენობა უზრუნველყოფილია საევაკუაციო გასასვლელებით, ვიდეოსათვალთვალო კამერებით, გამართული ცენტრალური გათბობის სისტემითა და სახანძრო უსაფრთხოების მექანიზმებით. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას უზრუნველყოფს სერტიფიცირებული დამლაგებელი, ხოლო სველი წერტილების დასუფთავება კონტროლდება სპეციალური აღრიცხვის ჟურნალით. შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია სერტიფიცირებული სპეციალისტი, რომელიც პერიოდულად ატარებს ინსტრუქტაჟს და საევაკუაციო სწავლებებს. სასწავლო პროცესის მასალა-ნედლეულით მომარაგება რეგულირდება მარეგულირებელი დებულებით, ფინანსური დოკუმენტბრუნვა და შესყიდვები კი დასტურდება ბუღალტრული ზედნადებებით. სახიფათო ნარჩენების გატანა და უტილიზაცია ხორციელდება კონტრაქტორი კომპანიის მიერ კვირაში არანაკლებ ორჯერ, რაზეც წარმოდგენილია ხელშეკრულების გაგრძელების თაობაზე ოფიციალური მიმოწერა და აღრიცხვის ჟურნალი. ხარისხის შიდა მექანიზმები ითვალისწინებს რესურსების ყოველწლიურ შეფასებას ხარისხის მენეჯერისა და დირექტორის მოადგილის მიერ, რაც ასახულია სტუდენტთა კმაყოფილების კვლევებში. სასწავლო სივრცეები და ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათებით, ხოლო სათავსოების განლაგება გამორიცხავს გამავალ ოთახებს და ხელს უწყობს ადმინისტრაციულ პროცესს. საბიბლიოთეკო ფონდი, მატერიალური და ელექტრონული სახით, დამუშავებულია წესების შესაბამისად და ხელმისაწვდომია კოლეჯის ვებგვერდიდან. აღნიშნული ქვეინდიკატორი ექსპერტთა მიერ დაკმაყოფილებულად შეფასდა.
შენობის ტექნიკური მდგომარეობა და ვარგისიანობა დადასტურებულია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2026 წლის 16 იანვრის დასკვნით. თუმცა, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2026 წლის 26 მარტის შემოწმების აქტის თანახმად, ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა ნაწილობრივ შეუსაბამოა, ვინაიდან შენობიდან 200 მეტრის რადიუსში არ არის განთავსებული სახანძრო ჰიდრანტი. აღნიშნულთან დაკავშირებით, კოლეჯმა წარადგინა 6-თვიანი შესაბამისობის გეგმა (2026 წლის 17 მარტიდან 17 სექტემბრამდე). ფართის მესაკუთრემ უკვე მიმართა კომპანია GWP-ს, მიიღო ტექნიკური პირობა და სიტუაციური ნახაზი საკუთარ ტერიტორიაზე ჰიდრანტის დამატებითი ნებართვების გარეშე დამონტაჟების შესახებ და მოამზადა შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა. აღნიშნული გარემოების გამო, უსაფრთხოების ზომების ინდიკატორი შეფასდა როგორც, „მეტწილად შესაბამისი“.
რაც შეეხება პირველად სამედიცინო დახმარებას, კოლეჯში მოქმედებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მექანიზმები, გამოყოფილია სათანადოდ აღჭურვილი სამედიცინო ოთახი და დანიშნულია ექთანი, ასევე საექთნო პროგრამის 3 მოდულის განმახორციელებელი პირი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სამედიცინო ყუთების შიგთავსის კონტროლზე. დაწესებულებას გააჩნია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, შექმნილია რეაგირების შტაბი და წელიწადში ორჯერ ტარდება იმიტირებული ევაკუაცია. მთელ პერიმეტრზე წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა. კომენდანტის პოზიციის ვაკანტურობის გამო, ამ მოვალეობების შესრულება ადმინისტრაციული აქტით დაკისრებული აქვს დირექტორის მოადგილეს. გამოვლენილი სახანძრო ჰიდრანტის ხარვეზის გათვალისწინებით, პირველი კომპონენტი მთლიანობაში შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“.
კოლეჯის მფლობელობაშია სათანადო რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკა, მათ შორის 35 ლეპტოპი, 9 პერსონალური კომპიუტერი, 5 პრინტერი და პროექტორები. ინტერნეტმომსახურებაზე გაფორმებულია უვადო ხელშეკრულება „სს სილქნეტთან“. დაწესებულებაში მოქმედებს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „IT ტექნოლოგიების მართვის წესი“, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება IT რისკების მართვა, ანტივირუსული სისტემების კონტროლი და გეგმური პროფილაქტიკური შემოწმებები წელიწადში მინიმუმ

ორჯერ. პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნით, კოლეჯს დამტკიცებული აქვს შესაბამისი მექანიზმები და გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „მონაცემთა დაცვის გუნდთან“, რომლის მიერ გამოყოფილი ოფიცრის თაობაზეც ოფიციალურად არის შეტყობინებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური. IT ინფრასტრუქტურის ეფექტიანობა პერიოდულად ფასდება ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკითხვებით, ხოლო შიდა კომუნიკაცია და სტუდენტთა ინფორმირება ხორციელდება ელექტრონული ფოსტისა და სოციალურ ქსელებში არსებული დახურული ჯგუფების მეშვეობით. ინდიკატორი ექსპერტთა მიერ შეფასდა როგორც დაკმაყოფილებული.

კოლეჯში მოქმედებს „საქმისწარმოების ინსტრუქცია“, რომლის შესრულებაზე პასუხისმგებელია საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი. მატერიალურ წარმოებასთან ერთად, კოლეჯი იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემა e-flow-ს, სადაც შექმნილია 4 მომხმარებელი ძირითადი სტრუქტურული ერთეულებისთვის. ჟურნალები წარმოებს ნორმების დაცვით — არის დანომრილი, ზონარგაყრილი და ბეჭედდასმული. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (e-vet.emis.ge) ინფორმაციის დროულ ასახვას უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი (სტუდენტების ნაწილში) და ადამიანური რესურსების მენეჯერი (პერსონალის ნაწილში). კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან კორესპონდენციის ვადები სრულად შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ნორმებს. აღნიშნული მიმართულება მიჩნეულ იქნა მოთხოვნებთან თავსებადად.

კოლეჯს გააჩნია ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელების (Facebook, Instagram) გვერდები, რომელთა ადმინისტრირებას „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესის“ მიხედვით ახორციელებს IT მენეჯერი ხარისხის მენეჯერთან შეთანხმებით. ვებგვერდზე განთავსებულია მხოლოდ სანდო ინფორმაცია და დაწესებულებას არ აქვს გამოქვეყნებული მონაცემები იმ პროგრამებზე, რომელთა განხორციელების უფლებაც ჯერ არ მოუპოვებია. ვინაიდან კოლეჯის მისია არ ითვალისწინებს საერთაშორისო პრიორიტეტებს ან უცხოენოვან სწავლებას, ვებგვერდი ფუნქციონირებს მხოლოდ ქართულ ენაზე. პლატფორმაზე ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც მოიცავს სრულ ინფორმაციას კვალიფიკაციების, დაშვების წინაპირობებისა და პრაქტიკის ობიექტების შესახებ და ახლდება ყოველწლიურად (წარმოდგენილია 2019-2026 წლების არქივი). სხვადასხვა არხებით მიღებული უკუკავშირი მუშავდება ადმინისტრაციის მიერ და გამოიყენება ხარისხის გასაუმჯობესებლად. აღნიშნული პუნქტი ექსპერტთა მიერ შეფასდა დადებითად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საექთნო განათლება

პროგრამა „საექთნო განათლება“ არის მეხუთე დონის, სწავლის დეტალური სფეროს კოდით 0913. პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, კურსდამთავრებულს ენიჭება უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში. სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე, კოოპერაციული ფორმით, რაც გულისხმობს თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების ინტეგრირებულ განხორციელებას როგორც კოლეჯის ბაზაზე, ისე პარტნიორ კლინიკებში. პროგრამის განხორციელების ოფიციალურ მისამართად განსაზღვრულია ქალაქი თბილისი, რაფიელ აგლაძის ქუჩა, N 25ა. კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის ფარგლებში განსხვავებულია სტუდენტთა კატეგორიების მიხედვით: ქართულენოვანი სტუდენტებისთვის იგი შეადგენს 180 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 210 კრედიტს. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებული დადასტურებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების აღნიშნული ფორმის მიხედვით განისაზღვრა 416 ადგილზე. კოლეჯი აღნიშნულ პროგრამას 2019 წლიდან ახორციელებს 100-სტუდენტით. ადგილების 316-ით გაზრდა (რაც ჯამში 416 ადგილს შეადგენს და გულისხმობს ყოველწლიურად 138-140 სტუდენტის მიღებას 3 წლის განმავლობაში) განპირობებულია ბაზარზე ექთნების მწვავე დეფიციტითა და სახელმწიფო პრიორიტეტებით, მათ შორის „საექთნო საქმის განვითარების

სტრატეგიითა“ და შრომის ბაზრის კვლევებით, რომლებიც ჯანდაცვის სექტორში დასაქმების 9%-იან ზრდას აჩვენებს.
მოთხოვნილი კვოტის დასაკმაყოფილებლად კოლეჯმა უზრუნველყო ინფრასტრუქტურის მოწყობა, რაც ვიზუალური დათვალიერებითაც დადასტურდა. პროგრამისათვის გამოყოფილია კეთილმოწყობილი 1 AC გარემო 30 სტუდენტზე, 6 აუდიტორია A სასწავლო გარემოსთვის (სხვადასხვა ტევადობით: 22, 24 და 28 ადგილზე) და 1 სათანადოდ აღჭურვილი AB სასწავლო გარემო 30 სტუდენტზე, რაც ჯამში 214 სასწავლო ადგილს ქმნის. კოლეჯს ორ ცვლაში მუშაობის პირობებში შეუფერხებლად შეუძლია 556-მდე სტუდენტის სწავლება, რაც სრულად ფარავს თეორიულ კომპონენტზე ერთდროულად მყოფი ორი წლის მიღების კონტინგენტს. სწავლების მეორე წლის მეორე ნახევრიდან პროცესი ინაცვლებს პარტნიორ კლინიკებში, სადაც პრაქტიკის ინსტრუქტორთა თანაფარდობა სტუდენტებთან არის 1/7. კლინიკური და პრაქტიკული კომპონენტების უზრუნველსაყოფად გაფორმებულია გრძელვადიანი და კვოტების გაზრდის თაობაზე 2026 წლის თებერვალსა და მარტში მოდიფიცირებული ხელშეკრულებები ხუთ წამყვან სამედიცინო და საქველმოქმედო ორგანიზაციასთან, რომელებსაც გააჩნიათ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ნებართვები, ხელშეკრულებები კი მოიცავს მატერიალური რესურსების ნუსხას, სახარჯი მასალების გამოყოფის ვალდებულებასა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის გარანტიებს. პარტნიორთა მზაობა ინტერვიუების დროსაც დადასტურდა.
პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის მდგრადობას. კვოტის გაზრდასთან დაკავშირებით დაწესებულებამ დამატებით ხელშეკრულება გააფორმა 21 მასწავლებელთან, რის შედეგადაც ჯამურმა რაოდენობამ 45 პირი შეადგინა (9 ზოგადი მოდულების და 36 დარგობრივი მიმართულების განმახორციელებელი). მათი დატვირთვა პასუხობს შრომის კოდექსის მოთხოვნებს და არ აღემატება კვირაში 40 საათს, ხოლო თითოეულ მოდულზე მინიმუმ ორი მასწავლებლის არსებობა გამორიცხავს ფორსმაჟორულ სიტუაციებში სწავლის შეფერხების რისკს. პერსონალის პირადი საქმეებისა და ინტერვიუების ანალიზმა აჩვენა, რომ მასწავლებლებს აქვთ სათანადო დარგობრივი კომპეტენცია, სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება, გავლილი აქვთ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და უნარების სააგენტოს ტრენინგები და ჩართულნი არიან ვერიფიკაცია-ვალიდაციის პროცესებში.
საგანმანათლებლო პროგრამას ხელმძღვანელობს სათანადო დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირი (კვალიფიკაციით ბიოლოგი, ექთანი), რომელსაც გააჩნია მასწავლებლად და კლინიკურ სფეროში მუშაობის გამოცდილება. ხელმძღვანელი კლინიკური სწავლების ინსტრუქტორთან ერთად აქტიურად არის ჩართული პროგრამის განვითარებაში, მეცადინეობებზე დასწრებასა და შეფასების ინსტრუმენტების მონიტორინგში. მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო ლიტერატურა ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური სახით კოლეჯის სამკითხველო დარბაზში, ისე ელექტრონულად ვებგვერდის საშუალებით; სტუდენტებს აქვთ დამოუკიდებელი მუშაობისა და მასალების ამობეჭდვის შესაძლებლობა. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) და შშმ პირებისთვის მარეგულირებელი დებულების 32-ე მუხლით გაწერილია ინდიკატორებთან თავსებადი აკომოდირებისა და მოდიფიცირების პროცედურები, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ გარემოს. ფინანსური თვალსაზრისით, პროგრამის რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 10 სტუდენტით (12,853 ლარი), შემოსავლის ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. სასწავლო პროცესის ორგანიზების ნაწილში ითქვა, რომ გეგმებში სრულად არის დაცული მოდულების წინაპირობები, კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს და განსაზღვრულია გონივრული ვადები განმეორებითი დადასტურებებისა თუ შუალედური შეფასებებისთვის. სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფენ პროცესის მოქნილობას სტუდენტთა ინტერესების შესაბამისად. მარეგულირებელი დებულებით დეტალურად არის მოწესრიგებული სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის,

აპელაციისა და არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმები, რაც დაადასტურეს გამოკითხულმა სტუდენტებმაც. სწავლება ეფუძნება თანამედროვე მეთოდოლოგიასა და დარგობრივ ტექნოლოგიებს, ინდივიდუალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის (სსსმ, მობილობით გადმოსული ან სტატუსაღდგენილი პირები) კი იქმნება სპეციალური სასწავლო გეგმები. პარტნიორ კლინიკებთან თანამშრომლობა დადასტურებულია სამართლებრივად გამართული ხელშეკრულებებით, ხოლო სასწავლო გარემო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე არ მოითხოვს დამატებით განსაკუთრებულ უსაფრთხოების ზომებს და მიჩნეულია უსაფრთხოდ.
შეფასების სისტემის ანალიზისას ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ კოლეჯში მოქმედი მოდელები არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე და ობიექტური. სწავლის შედეგის ვერდადასტურების შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე ორჯერ გავიდეს განმეორებით შეფასებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოდული წარმოადგენს წინაპირობას - ასეთ დროს ვადებს კალენდარული გეგმის მიხედვით განსაზღვრავს სასწავლო მენეჯერი. შეფასების მტკიცებულებები თავსდება სტუდენტთა პორტფოლიოებში და გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს. ვიზიტისას შერჩევითად გადამოწმებული საგამოცდო ინსტრუმენტები შინაარსობრივად რელევანტური და გამართულია. სისტემა ასევე ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, რომელიც ხორციელდება მარეგულირებელი დებულების 34-ე მუხლის საფუძველზე შექმნილი სპეციალური ჯგუფის მიერ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - ფარმაცია (სააფთიაქო)
პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ შეესაბამება პროფესიული განათლების მეხუთე დონეს. სწავლის დეტალური სფეროს კოდია 0916, ხოლო კურსდამთავრებულს პროგრამის დასრულების შემდგომ ენიჭება უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში. სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე, კოოპერაციული მოდელით, რაც თეორიული სწავლების პარალელურად ითვალისწინებს სააფთიაქო ქსელებში პრაქტიკული უნარების ინტენსიურ გამომუშავებას. პროგრამის განხორციელების ფაქტობრივი მისამართია ქალაქი თბილისი, რაფიელ აგლაძის ქუჩა N25ა. კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის შეადგენს 123 კრედიტს, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 153 კრედიტს. ამ ეტაპზე პროგრამაზე ირიცხება 30 აქტიური სტუდენტი. დაწესებულების მიერ მოთხოვნილი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად დადასტურებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 144 ადგილზე, რაზეც საექსპერტო ჯგუფმა გამოხატა თანხმობა. როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასებით, ისე ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით, მეორე სტანდარტი და მისი ყველა კომპონენტი შეფასდა უმაღლესი ნიშნულით - „შეესაბამება“.
მატერიალური რესურსებისა და ინფრასტრუქტურის ანალიზისას აღინიშნა, რომ კოლეჯს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად აგლაძის ქუჩის მისამართზე მოწყობილი აქვს სპეციალიზებული სივრცეები. კერძოდ, ფუნქციონირებს ორი A გარემო (ოთახები 413 და 401), რომელთაგან თითოეული გათვლილია 24 სტუდენტზე და აღჭურვილია მასწავლებლისა და სტუდენტების სამუშაო ავეჯით, დაფებითა და პერსონალური კომპიუტერებით. კომპიუტერული სწავლებისთვის გამოყოფილია B გარემო (ოთახი 101), სადაც განთავსებულია 30 პერსონალური კომპიუტერი, პროექტორი და შესაბამისი ინვენტარი. კოლეჯის ბაზაზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ორ სპეციფიკურ სივრცეს: ქიმიურ-ტექნოლოგიურ-ბიოლოგიურ ლაბორატორიას (A/C გარემო, ოთახი 402), რომელიც 24 სტუდენტზეა გათვლილი და აღჭურვილია სპეციალური ქიმიური მაგიდებით, გამწოვი სისტემით, მიკროსკოპებით, რეფრაქტომეტრით, ლაბორატორიული ჭურჭლითა და რეაქტივების შესანახი კარადებით. ამავე სივრცეში გამოკრულია შრომის უსაფრთხოებისა და ნარჩენების მართვის წესები, განთავსებულია სპეციალური თავდახურული ჭურჭელი სითხოვანი და მყარი ნარჩენების შესაგროვებლად. მეორე სპეციფიკური სივრცეა სიმულაციური

აფთიაქი (A/C გარემო, ოთახი 403), სადაც მოწყობილია სააფთიაქო ღია და დახურული ვიტრინები, მედიკამენტების, ბავშვთა კვებისა და კოსმეტიკის სიმულაციური ნიმუშები და რეცეპტების ბლანკები. დამატებით ხელმისაწვდომია პირველადი გადაუდებელი დახმარების კაბინეტი (კაბინეტი 30).

პრაქტიკული კომპონენტის 8 ძირითადი მოდულის განხორციელების მიზნით, კოლეჯს გაფორმებული აქვს გრძელვადიანი კოოპერაციული ხელშეკრულებები შპს „ავერსთან“ (ერთდროულად 144 სტუდენტის მიღების კვოტით) და სს „გეფასთან“ (112 სტუდენტის ერთდროულად მიღების შესაძლებლობით). პარტნიორი ორგანიზაციები უზრუნველყოფენ თითო აფთიაქში მაქსიმუმ 4 სტუდენტის განთავსებას, მათი საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით. საექსპერტო ჯგუფის მიერ განხორციელდა უშუალო ვიზიტი შპს „ავერსის“ აფთიაქში (წერეთლის გამზ. N55) და დისტანციური ჩართვა სს „გეფას“ წარმომადგენლებთან, რომლებმაც დაადასტურეს სრული მზაობა, სტუდენტთა მაღალი მოტივაცია და მათი შემდგომი დასაქმების პერსპექტივები.

პროგრამის მდგრადობას სრულად უზრუნველყოფს განსაზღვრული ადამიანური რესურსი. ადგილების რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით, კოლეჯმა დამატებით ხელშეკრულება გააფორმა 14 მასწავლებელთან, რის შედეგადაც პროგრამის განმახორციელებელთა საერთო რაოდენობა 34 პირს შეადგენს (11 ზოგადი და 23 დარგობრივი მოდულის პედაგოგი, მათ შორის 3 პრაქტიკის ინსტრუქტორი). თითოეულ მოდულს ჰყავს მინიმუმ ორი განმახორციელებელი, რაც ურთიერთჩანაცვლების შესაძლებლობას იძლევა. პერსონალის დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. პირადი საქმეების შესწავლითა და გასაუბრებით დადასტურდა მასწავლებელთა შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია, დიპლომებისა და სერტიფიკატების არსებობა, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და მოდულების ადაპტირების გამოცდილება. პროგრამას ჰყავს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელიც თავად არის დარგობრივი მოდულების პედაგოგი და უშუალოდ მონაწილეობდა პროგრამის შინაარსობრივ შემუშავებაში.

საგანმანათლებლო რესურსები, კატალოგი და მოდულური ლიტერატურა ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური სახით კეთილმოწყობილ სამკითხველო დარბაზში, ისე ელექტრონულად (ვებგვერდზე და სასწავლო სივრცეების კომპიუტერებში). ბიბლიოთეკა აღჭურვილია უკაბელო ინტერნეტითა და ლეპტოპით. შენობა აღჭურვილია პანდუსებით, კედლებზე განთავსებულია სპეციალური საორიენტაციო ნიშნები, ხოლო კომენდანტსა და ადმინისტრაციას დაკისრებული აქვთ სსსმ პირთა გადაადგილებისა და სერვისებით თანაბარი სარგებლობის მხარდაჭერა. რენტაბელობის მინიმალური ზღვარი განსაზღვრულია 10 სტუდენტით.

სწავლება მიმდინარეობს წინასწარ გაწერილი სასწავლო გეგმების მიხედვით, სადაც მკაფიოდ არის განსაზღვრული მოდულების თანმიმდევრობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები როგორც ქართულენოვანი (123 კრედიტი), ისე არაქართულენოვანი (153 კრედიტი) ჯგუფებისთვის. სტუდენტთა კვირეული დატვირთვა 40 საათამდეა, ხოლო განრიგი თვალსაჩინო ადგილასაა განთავსებული. კოლეჯი მოქნილად რეაგირებს სტუდენტთა საჭიროებებზე საკონსულტაციო შეხვედრებისა და ინდივიდუალური მეცადინეობების ორგანიზებით. მარეგულირებელი დებულებით დაცულია სტუდენტის უფლებები მობილობის, სტატუსის შეჩერება-აღდგენის ან პროგრამის შესაძლო გაუქმების პირობებში სწავლის მონათესავე მიმართულებით გაგრძელების თაობაზე. სწავლება ეფუძნება თანამედროვე სადემონსტრაციო მეთოდებსა და დარგობრივ ტექნოლოგიებს (პრეზენტაციები, ტექნიკური უნარების სიმულაცია), რაც დადასტურდა პერსონალთან ინტერვიუებისას.

შეფასების სისტემის შემოწმებისას დადგინდა, რომ იგი სრულად არეგულირებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებებს, რემედიაციას (მაქსიმუმ ორჯერ გასვლის უფლებით), აპელაციასა და ინსტრუმენტების ვალიდაციას. საექსპერტო ჯგუფის მიერ შესწავლილი საგამოცდო მასალები დადასტურდა როგორც ვალიდური, ობიექტური და რელევანტური. სტუდენტების შეფასების სისტემა მოიცავს ვერიფიკაციის მექანიზმს (დებულების 34-ე მუხლი),

რომელსაც ახორციელებს დირექტორის მიერ დამტკიცებული დაინტერესებული პირებისა და მოწვეული დარგობრივი ექსპერტებისგან შემდგარი ჯგუფი. ვერიფიკაცია ითვალისწინებს რისკ-ფაქტორებს და სრულდება ოფიციალური სამოქმედო გეგმით, რაც ფარმაციის პროგრამაზე 2025-2026 სასწავლო წელს წარმატებით განხორციელდა.
შეფასებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, საგამოცდო ნაშრომი და ინსტრუმენტი საიმედოდ არის აღრიცხული და ინახება სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერის მიერ 3 წლის ვადით, რის შემდეგაც ხდება მათი აქტით განადგურება, ხოლო ძირითადი სასწავლო უწყისები ინახება მუდმივად.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.
საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა აღნიშნა, რომ ორივე საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში მოთხოვნილი სტუდენტთა კვოტა საკმაოდ მაღალია (კერძოდ, საექთნო მიმართულებაზე სამ წელიწადში ჯამური რაოდენობა 416 სტუდენტს შეადგენს, წლიური 140 სტუდენტის მიღების პირობებში), რაც, მისი აზრით, შესაძლოა დაკავშირებული იყოს გარკვეულ გამოწვევებთან სასწავლო პროცესის განხორციელების ეტაპზე, განსაკუთრებით პრაქტიკული კომპონენტის ნაწილში. მან ითხოვა დარგის ექსპერტების დეტალური ანალიზი იმის თაობაზე, თუ რამდენად არის შესაძლებელი ხარისხის შენარჩუნება აღნიშნული რაოდენობის პირობებში, ხომ არ მოხდება სტუდენტთა ნაკადების გადაფარვა სასწავლო გარემოსა და პრაქტიკის ობიექტებზე (კლინიკებში) და ხომ არ მიეცათ დაწესებულების წარმომადგენლებს რეკომენდაცია კვოტის შემცირების თაობაზე.
საექთნო მიმართულების დარგის ექსპერტმა, ხათუნა მაისაიამ განმარტა, რომ სასწავლო გეგმა შედგენილია მოქმედი რეგულაციების დაცვით, რაც ითვალისწინებს კლინიკური პრაქტიკის დროს ერთ ინსტრუქტორზე მაქსიმუმ შვიდი სტუდენტის გადანაწილებას. ექსპერტმა დაადასტურა, რომ სხვადასხვა კურსის სტუდენტები თეორიულ მეცადინეობებზე ერთმანეთს შეხვდებიან, თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი გათვლებით, სწავლება წარიმართება ორ ცვლაში, რაც სრულად უზრუნველყოფს 276-280 სტუდენტის თეორიულ მომზადებას. რაც შეეხება პრაქტიკულ კომპონენტს, კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ოთხ მსხვილ კლინიკასთან, სადაც სტუდენტთა ნაკადები გადანაწილდება სხვადასხვა განყოფილებებში როტაციის პრინციპით, რაც პროცესს მოქნილსა და მართვადს გახდის. ხათუნა მაისაიამ აღნიშნა, რომ კლინიკების მასშტაბურობის, განყოფილებების მრავალფეროვნებისა და ჩართული მენტორი ექთნების რაოდენობის გათვალისწინებით, კოლეჯი უპრობლემოდ შეძლებს აღნიშნული ნაკადების მართვას.
საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა გამოთქვა სკეპტიციზმი დოკუმენტურად გაწერილი გეგმების პრაქტიკაში რეალურად მიღწევადობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით თბილისში არსებული მაღალი კონკურენციისა და კლინიკებში სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა პარალელური ყოფნის გათვალისწინებით. მან ხაზი გაუსვა საექთნო და ფარმაცევტული განათლების მაღალ პასუხისმგებლობას, ვინაიდან აღნიშნული დარგები უშუალოდ უკავშირდება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. აღნიშნულ გარემოებაზე ხათუნა მაისაიამ დაამატა, რომ სამედიცინო დაწესებულებები მაქსიმალურად აკონტროლებენ სტუდენტთა მიღების შესაძლებლობებს და სასწავლო გრაფიკების შეთანხმება ხდება იმგვარად, რომ კლინიკა თავად არ დაუშვებს ნაკადების ზედმეტ კონცენტრაციას ან გადაფარვას. ფარმაციის მიმართულების დარგის ექსპერტმა, ნანა ვერულაშვილმა ასევე განმარტა, რომ სასწავლო მოდულები დროში მონაცვლეობითია და სხვადასხვა კურსის სტუდენტები პრაქტიკის ობიექტებზე ერთმანეთს არ ხვდებიან (მაგალითად, პრაქტიკული კომპონენტები პირველ კურსზე მიმდინარეობს პირველ სემესტრში, ხოლო მეორე კურსზე – მეორე სემესტრში). მანვე აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისში არსებული მსხვილი სააფთიაქო ქსელების (მაგალითად, სს „გეფა“ და შპს „ავერსი“) ბაზა საკმაოდ ვრცელია. ხელშეკრულებების პირობების თანახმად, კომპანიები ხელს უწყობენ სტუდენტებს პრაქტიკის საცხოვრებელ ადგილთან ახლოს, ცვლებში განაწილებაში, სადაც თითოეულ ფილიალში ერთ ცვლაში

მაქსიმუმ სამი სტუდენტი დაიშვება. მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასთან დაკავშირებით, ნანა ვერულაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ კოლეჯის ახალი ინფრასტრუქტურა არის მასშტაბური და სრულად აღჭურვილი; კერძოდ, დაწესებულებას გააჩნია ორი 24-ადგილიანი A გარემო, 30-ადგილიანი B გარემო და ორი C გარემო (ცალკეული სააფთიაქო იმიტაცია და ტექნოლოგიურ-ქიმიური ლაბორატორია), რაც გამორიცხავს თეორიულ თუ პრაქტიკულ ნაწილში ნაკადების გადაფარვას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მცირე კვოტის შენარჩუნება, გაწეული დიდი ფინანსური ხარჯებისა და ახალი უმაღლესი სტანდარტის ინფრასტრუქტურის პირობებში, არარენტაბელური იქნებოდა დაწესებულებისთვის.

კოლეჯის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის გადაწყვეტილება განპირობებული იყო პარტნიორი სამედიცინო ორგანიზაციების მხრიდან არსებული მუდმივი და მზარდი მოთხოვნით დამატებით კადრებზე. მაგალითის სახით მან მოიყვანა აკადემიკოს ვახტანგ ბოკერიას სახელობის საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი, რომელიც თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე, სისტემატურად ითხოვდა მეტი სტუდენტის მივლენას პრაქტიკის ბაზაზე. ხელმძღვანელმა დაადასტურა, რომ კოლეჯი მკაცრად იცავს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც სტუდენტებს ეძლევათ პრაქტიკის ობიექტის თავისუფლად არჩევის შესაძლებლობა მათი საცხოვრებელი ადგილისა და ინდივიდუალური კომფორტის გათვალისწინებით. დამატებით არგუმენტად კოლეჯის ხელმძღვანელმა დაასახელა 2025 წლის საშემოდგომო მიღების გამოცდილება, როდესაც დაწესებულებამ მცირე თავისუფალი ადგილების გამო ვერ გამოაცხადა მიღება, ვინაიდან აპლიკანტები, კვოტის სიმცირის ხილვისას, უპირატესობას ანიჭებდნენ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებს. ვინაიდან ინფრასტრუქტურული სივრცე იძლევა ამის შესაძლებლობას, კოლეჯმა მიიღო გადაწყვეტილება ადგილების გაზრდაზე. მანვე დააზუსტა, რომ ჯამური კვოტა (416 ადგილი) გადანაწილებულია სამ სასწავლო წელზე და ორივე მიღებაზე (საგაზაფხულო და საშემოდგომო) წლიურად დაახლოებით 138 სტუდენტის მიღება იგეგმება. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე ეტაპზე ადგილზე მხოლოდ 28 სტუდენტი იმყოფება, ხოლო დანარჩენი ნაკადი კლინიკური პრაქტიკის მოდულებს უშუალოდ კლინიკებში გადის. რესურსების ოპტიმიზაციის მიზნით, კოლეჯმა გააფორმა ხელშეკრულებები დამატებით ინსტრუქტორებთან, რის გამოც ადმინისტრაცია სრულად უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლების მიწოდებას.

საბჭოს წევრმა, გოჩა გოგიტიძემ ხელშეკრულებების სამართლებრივ მხარეზე გაამახვილა ყურადღება და მიმართა საექთნო მიმართულების დარგის ექსპერტს, ხათუნა მაისაიას. მან აღნიშნა, რომ ერთ-ერთი კლინიკის ხელშეკრულების მიხედვით, სტუდენტთა მიღება და გადანაწილება უნდა შეთანხმდეს უშუალოდ სამედიცინო დაწესებულების მთავარ ექთანთან. საბჭოს წევრი დაინტერესდა, შედგა თუ არა კომუნიკაცია კლინიკების მთავარ ექთნებთან და როგორ აპირებენ ისინი აღნიშნული მაღალი კვოტის მქონე ნაკადების განაწილებას განყოფილებებში ორგანიზაციული და დინამიკური თვალსაზრისით. დარგის ექსპერტმა, ხათუნა მაისაიამ დაადასტურა, რომ ვიზიტის ფარგლებში პირველი შეხვედრები სწორედ კლინიკების უფროს ექთნებთან გამართა, ვინაიდან ისინი არიან პასუხისმგებელნი სტუდენტთა მობილობაზე. ექსპერტთა ჯგუფი ადგილზე შეხვდა „პინეოს“ ეკოსისტემის კლინიკის უფროს ექთანს, გაესაუბრა „ბოკერიას“ ჰოსპიტლის წარმომადგენელს, ხოლო ონლაინ რეჟიმში კომუნიკაცია შედგა ახალი პარტნიორის – „გლობალ მედის“ საუნივერსიტეტო კლინიკის უფროს ექთანთან. ხათუნა მაისაიამ განმარტა, რომ კლინიკასთან ხელშეკრულების გაფორმებისას ზღვრული რაოდენობის განსაზღვრაში უშუალოდ მონაწილეობს მთავარი ექთანი, რომელიც წინასწარ აფასებს ინსტრუქტორთა რესურსს. ვინაიდან პარტნიორი კლინიკები უზარმაზარ მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრებს წარმოადგენენ, მათ აქვთ შესაძლებლობა სტუდენტები თანაბრად გადაანაწილონ სხვადასხვა ბლოკებში (ქირურგია, თერაპია, პედიატრია, მეანობა და სხვა), ხოლო ვიწრო სპეციალიზებული ფსიქიატრიის მოდული მხოლოდ შესაბამის პროფილურ კლინიკაში წარიმართება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ თითოეულ განყოფილებაში მყოფ 5 ექთანზე 7-7 სტუდენტის (ჯამში 35 სტუდენტის) მიმაგრება

კლინიკების მასშტაბებიდან გამომდინარე მცირე დატვირთვაა. მანვე დასძინა, რომ სამედიცინო სფეროში არსებული კადრების მწვავე დეფიციტის გამო, კლინიკები მოხარულნი არიან სასწავლო პროცესში მონაწილეობით.

საბჭოს მდივანმა, ნათია ბუთხუზმა დარგის ექსპერტს მიმართა კითხვით მენტორების მიერ პრაქტიკულ გარემოში სწავლის შედეგების რაოდენობრივად სწორად განაწილებისა და კონტროლის შესაძლებლობის შესახებ. ხათუნა მაისაიამ დაადასტურა, რომ ერთ მენტორზე მკაცრად არის მიბარებული მაქსიმუმ შვიდი სტუდენტი, რაც პროგრამის სავალდებულო მოთხოვნაა და რასაც კლინიკის ხელმძღვანელობა და უფროსი ექთანი სრულად აკონტროლებენ. ექსპერტმა დაამატა, რომ ჯგუფმა დეტალურად გადაამოწმა პრაქტიკის უწყისები და დარწმუნდა, რომ შედეგების დადასტურება ხდება ზუსტად ამ ნორმის ფარგლებში.

ნათია ბუთხუზის კითხვაზე, გაეცნენ თუ არა წინა წლების მასალებს და წარმოადგენს თუ არა კოლეჯისთვის აღნიშნული პროგრამა ახალ მიმართულებას, ექსპერტმა უპასუხა, რომ პროგრამა მოქმედია, ჯგუფი დეტალურად გაეცნო დოკუმენტაციას და 2023-2024 წლის მიღების სტუდენტები ამჟამად წარმატებით გადიან პრაქტიკას კლინიკებში. პროცესის მიმდინარეობა გადამოწმდა უშუალოდ სამედიცინო პერსონალთან ინტერვიუების გზით, ასევე შერჩევითი პრინციპით შესწავლილ იქნა სტუდენტთა პრაქტიკის დღიურები, ანგარიშები და ინსტრუქტორთა მიერ შესრულებული სამუშაოები, რაც ასახულია საექსპერტო დასკვნაშიც.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ხათუნა ჩხარტიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტს სტუდენტებთან გასაუბრების თაობაზე. იგი დაინტერესდა, რამდენად კმაყოფილნი არიან თავად სტუდენტები პრაქტიკის მიმდინარეობით, რამდენად უსაფრთხოა მათთვის საწარმოო გარემო და სრულყოფილად აისახება თუ არა მისაღწევი შედეგები პრაქტიკის ობიექტებზე, განსაკუთრებით კვოტის სამომავლო გაზრდის პერსპექტივაში. ხათუნა მაისაიამ განაცხადა, ექსპერტთა ჯგუფმა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გამოკითხა პრაქტიკაზე მყოფი სტუდენტები მასალებისა და ნედლეულის ხელმისაწვდომობის, უსაფრთხოების ნორმების დაცვისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, რაც გამოკითხულმა პირებმა სრულად დაადასტურეს. ავტორიზაციის ექსპერტმა, დავით კუპატაძემ დაამატა, რომ გასაუბრებისას სტუდენტებმა გამოხატეს განსაკუთრებული კმაყოფილება.

საბჭოს წევრმა, გოჩა გოგიტიძემ დამატებითი იკითხა, თუ როგორ ხორციელდება პრაქტიკული უნარ-ჩვევების (მაგალითად, ინექციების წარმოების) გამომუშავება უშუალოდ პაციენტებთან მიმართებით – ხდება თუ არა პროცესის წინასწარ შეთანხმება პაციენტთან, თუ აღნიშნული მანიპულაციები მისი ინფორმირების გარეშე სრულდება. ხათუნა მაისაიამ განმარტა, რომ პაციენტის უფლებების დაცვის კანონმდებლობიდან გამომდინარე, კლინიკაში ნებისმიერი მანიპულაციის ჩატარებამდე პაციენტის ინფორმირება სავალდებულოა, თუმცა ამისათვის ცალკე წერილობითი ხელშეკრულება არ ფორმდება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ საექთნო პროგრამა მოიცავს კლინიკურ და პრაქტიკულ მოდულებს. კლინიკური მოდულის ფარგლებში სტუდენტი მხოლოდ აკვირდება ინსტრუქტორის მუშაობას, ხოლო პალატაში შესვლისას პაციენტს ყოველთვის მიეწოდება ინფორმაცია სტუდენტის თანხლების შესახებ. მეორე მოდული კი ითვალისწინებს მანიპულაციების ექთანთან ერთად შესრულებას. ექსპერტმა დაადასტურა, რომ პაციენტთა ნაწილი გამოხატავს უარს სტუდენტების მიერ ინექციების გაკეთებაზე, თუმცა არსებობენ პირები, რომლებიც თანხმდებიან აღნიშნულს. ამასთანავე, დარგის ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ მსხვილმა სამედიცინო ცენტრებმა დაიწყეს თანამედროვე, უნივერსალური სასწავლო მულაჟების შესყიდვა, სადაც სტუდენტები წინასწარ, უსაფრთხო სასწავლო გარემოში სრულყოფილად ეუფლებიან ყველა საჭირო სამედიცინო მანიპულაციას. გოჩა გოგიტიძემ აღნიშნა, რომ მულაჟებთან მუშაობის პარალელურად, რეალურ პაციენტებთან ინტერაქცია აუცილებელია სტუდენტის პროფესიული თვითდაჯერებულობისთვის, და იკითხა, არსებობს თუ არა რისკი, რომ სტუდენტმა ისე დაასრულოს პრაქტიკა, რომ რეალურად არ განახორციელოს ინექცია. ხათუნა მაისაიამ აღნიშნული რისკი გამორიცხა და განმარტა, რომ პრაქტიკის პროცესში სტუდენტებს ეძლევათ მანიპულაციების ჩატარების შესაძლებლობა.

გარდა ამისა, აღნიშნული პროგრამის სტუდენტებს აქვთ უფლება სწავლების მეორე კურსიდანვე დასაქმდნენ კლინიკებში ექთნის თანაშემწეებად (დამხმარედ), რაც მათ საშუალებას აძლევს, შიდა სამედიცინო პროტოკოლების მკაცრი დაცვით, დამოუკიდებლად და სრულფასოვნად შეასრულონ შესაბამისი სამედიცინო პროცედურები.
საბჭოს თავმჯდომარემ დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა სახიფათო ნარჩენების მართვის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ საექსპერტო დასკვნის მიხედვით, აღნიშნულ კონტრაქტს ვადა 2026 წლის 30 აპრილს ამოეწურა, ხოლო დოკუმენტაციაში ფიქსირდებოდა მხოლოდ წერილი ხელშეკრულების ვადის გაგრძელების თაობაზე. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სამედიცინო პროფილის დაწესებულებას, რომელიც საექთნო და ფარმაციის პროგრამებს ახორციელებს, არ აქვს უფლება თუნდაც ერთი დღე იურიდიული ხელშეკრულების გარეშე მართოს სახიფათო ნარჩენები, და დაინტერესდა, ნახეს თუ არა ექსპერტებმა უშუალოდ ხელმოწერილი დოკუმენტი. ავტორიზაციის ექსპერტმა, დავით კუპატაძემ განმარტა, რომ ვინაიდან საექსპერტო ვიზიტი მიმდინარეობდა 22-23 რიცხვებში, ჯგუფი შემოიფარგლა მხოლოდ გაგზავნილი წერილისა და პარტნიორი ორგანიზაციის მზაობის შემოწმებით, ხოლო უშუალოდ ხელმოწერილი ახალი ხელშეკრულება მათ ვიზიტის პერიოდში ადგილზე არ დახვედრიათ.
საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ დაამატა, რომ საბჭოს წევრებისთვის მოწოდებულ მასალებში (მათ შორის სახანძრო უსაფრთხოების მიმოწერაში) აღნიშნული ხელშეკრულება არ ფიქსირდებოდა. დაწესებულებიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ კოლეჯმა შპს „ეკოლაინთან“ ახალი ხელშეკრულება 30 აპრილს გააფორმა, რომელიც ძალაში შევიდა პირველი მაისიდან ერთი წლის ვადით. მისივე განცხადებით, ორმხრივად ხელმოწერილი დოკუმენტი დაწესებულების მიერ ელექტრონული ფორმატით მყისიერად იქნა გადაგზავნილი. საკითხის დაზუსტების მიზნით განხილვაში ჩაერთო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი, ნია გუგუნავა. მან დაადასტურა, რომ აღნიშნული დოკუმენტი ვიზიტის დასრულებიდან რამდენიმე დღეში დაწესებულებამ მართლაც მიაწოდა ელექტრონული ფოსტის საშუალებით, თუმცა, ვინაიდან დოკუმენტაცია ცენტრში ოფიციალური საქმისწარმოების წესით არ შემოსულა, იგი ვერ აისახა საბჭოსთვის გადაცემულ ოფიციალურ მასალებში და არც ექსპერტებს მიეწოდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოსთვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე "ფარმაცია (სააფთიაქო)" და ,,საექთნო განათლება" პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 1

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 52-ე და 56-ე მუხლების შესაბამისად, შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს (ს/კ: 404935273) დანართით განსაზღვრულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე: "ფარმაცია (სააფთიაქო)" გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული

რაოდენობა და განესაზღვროს 144 - ით, ,,საექთნო განათლება" გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 416-ით და აღნიშნული პროგრამების განხორციელების ადგილად განისაზღვროს ქ. თბილისი, რაფიელ აგლაძის ქ. N 25ა **(დანართი 3).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 25 მაისი.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი შპს კოლეჯ „მესამე სამედიცინოში“ 5.1. კომპონენტის (5.1.2.1 და 5.1.1.6 ინდიკატორები) ფარგლებში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ცენტრისთვის დოკუმენტების მიწოდება (კერძოდ, სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა და სახიფათო ნარჩენების მართვის შესახებ ორმხრივად ხელმოწერილი ხელშეკრულება). მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 17 სექტემბერი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 14:03 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	მოდის ტექნოლოგია და დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მოდის ტექნოლოგიასა და დიზაინში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N61
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	45
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	მოდის ტექნოლოგია და დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მოდის ტექნოლოგიასა და დიზაინში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქ. N80
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქალაქი თბილისი, რაფიელ აგლაძე, N 25ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	416
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქალაქი თბილისი, რაფიელ აგლაძე, N 25ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	144
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153